

წყალმომარაგება და წყალარინება აჭარის დაბებსა და სოფლებში



განხორციელების ვადა: 19.12.2018 - 18.12.2024

EaP ქვეყნები:

Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 7 360 000



განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Kreditanstalt Fur Wiederaufbau (KfW)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

<https://www.facebook.com/AjaraWaterAlliance/>, https://www.youtube.com/channel/UC_9KrHQalkveHtEzAEqmm2A

პროექტის ვებსაიტები: <http://awa.ge/>

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი საქართველოს ეხმარება გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფასა და სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში.

ეს პროექტი ზრდის წვდომას გაუმჯობესებულ და მდგრად წყლის მარაგზე და ნარჩენი წყლების გადამუშავებაზე აჭარის რეგიონის სოფლებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. იგი მოიცავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტს - ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი, სადაც თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა შეიქმნება.

პროექტი ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობს:
- ცენტრალიზებული წყლის სისტემა და ნარჩენი წყლების სისტემების მოწყობა ქალაქის ტიპის დასახლებებში, ხოლო დეცენტრალიზებული სისტემის მოწყობა სოფლებში
- დეცენტრალიზებული მომარაგების სისტემების შექმნა სოფლებში - მცირე (მიკრო) წყალმომარაგების სისტემები, წყაროებიდან საჭირო ოდენობის წყლის მიღება, ჭის ან ზედაპირული წყლები, დეზინფექცია, მცირე რეზერვუარი და ადეკვატური ქსელი.

ნარჩენი წყლების მართვის სისტემა ყველა სოფელში იწერება. ეს მოიცავს საპირფარეშოებს, სახლების კავშირს და დეცენტრალიზებულ, ნარჩენი წყლების გადამამუშავებელ მოწყობილობას თუ სხვა სისტემებს.

პროექტი მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას ეყრდნობა. მოცემული მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლები მონაწილეობენ სათემო შეხვედრებში, სვამენ კითხვებს, ითხოვენ ინფორმაციას და ახსნა-განმარტებას სპეციფიკურ სიტუაციასთან

მოსალოდნელი შედეგები:

წყალმომარაგების სისტემა:

- 23,500 ადამიანიდან 75%-ისთვის ხელმისაწვდომია უსაფრთხო და 24 საათიანი წყალმომარაგება.
- 7,500-დან 75% მომარაგდება დეცენტრალური ტიპის წყალმომარაგების სისტემებით
- 16,000-დან 75% დაერთდება ცენტრალურ წყალმომარაგების სისტემაზე.

წყალარინების ჩაშვება:

- 39,500 ადამიანიდან 75%-ისთვის ხელმისაწვდომია ჰიგიენური და უსაფრთხო წყალარინების სისტემა
- 23,500 ადამიანიდან, 75% დაერთდება დეცენტრალურ წყალარინების სისტემებზე -> 16,000 ადამიანიდან 75% დაერთდება ცენტრალურ წყალარინების სისტემაზე.

წყლის ხარისხი ონკანში:

- 75% შესაბამისობა წყლის ხარისხის პარამეტრთან (ნიტრატი, ბაქტერიის რაოდენობა, კოლის ინდექსი, ნარჩენი ქლორი)

წყალარინების განმუშავების შესაძლებლობა:

- საერთო შეგროვება/ჩაღვრა და განმუშავება: 4,000 მ³/დღეში.

წყლის ხარისხი განმუშავების შემდეგ:

- წყალარინების გამწმენდი ნაგებობაში წყლის განმუშავების ხარისხის შესაბამისობა შესაბამის სტანდარტებთან, თითოეული სისტემის ამოქმედებიდან 6 თვის შემდეგ

- დეცენტრალური გამწმენდი ნაგებობაში წყლის განმუშავების ხარისხის შესაბამისობა შესაბამის სტანდარტებთან, თითოეული